ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტო

G E O R G I A
Ajara Autonomous Republic
Legal entity of public law
Forestry Agency of Ajara

6010 ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N51
ტელ: (0422 27 28 93)

N51, Pridon Khalvashi Ave, Georgia 6010
Tel: (0422 27 28 93)

N 09/1845
25/09/2023

1845-09-2-202309251106

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ზაზა შავაძეს

ასლი:აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის
სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსს
ბატონ ჯემალ ნაკაშიძეს

ბატონო ზაზა,

თქვენი, 2023 წლის 13 სექტემბრის №03/670 კორესპონდენციის პასუხად, რომელიც ეხებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის 2023 წლის 08 სექტემბრის №09-02-16/541 წერილს, მუნიციპალიტეტების მიხედვით, ზამთრისათვის მოსახლეობის სათბობითა და გამათბობელი საშუალებებით მომარაგების მდგომარეობას.

მოგახსენებთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ხე–ტყით უზრუნველყოფისათვის 2023 წლის მიმდინარე ეტაპისათვის ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის სატყეო ადმინისტრაციებში გასაცემი ხე-ტყის მოცულობა შეადგენს 75 700 კბმ. მათ შორის: I ხარისხი (სამასალე) 5 735 კბმ, ხოლო II ხარისხი (საშეშე) 69 965 კბმ.

აქედან გაცემულია მოსახლეობაზე მოცულობით 13 792 კბმ-ი, მათ შორის: I ხარისხი (სამასალე) 835 კბმ-ი და II ხარისხი (საშეშე) 12 957 კბმ-ი.

აღნიშნული ფონდიდან დარჩენილია გასაცემი სატყეო ადმინისტრაციების მიხედვით (ქობულეთის, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) 61 908 კბმ. მათ შორის: I ხარისხი (სამასალე) 4 900 კბმ. II ხარისხი (საშეშე) 57 008 კბმ. **რომლის სარგებლობაც მომხმარებელს შეუძლია წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს.**

ტყეკაფების ასათვისებლად, ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის სატყეო ადმინისტრაციებში დაგეგმილია 25 კმ. ახალი სატყეო სამეურნეო დანიშნულების გზის მშენებლობა და 100 კმ. არსებული გზის შეკეთება.

დღეის მდგომარეობით გაყვანილია 27 კმ ახალი გზა და შეკეთებულია 127 კმ არსებული გზა, სამუშაოები მიმდინარეობს.

2022 წელში გაყვანილია 29 კმ ახალი სატყეო სამურნეო დანიშნულების ახალი გზა და შეკეთებულია 208 კმ არსებული გზა.

2020-2021-2023 წწ. მონაცენებით საშუალო წლიური ათვისება შეადგენს 57 ათ. კბმ.

2022-2023 წლებში სულ გაყვანილია სატყეო სამურნეო დანიშნულების 56 კმ ახალი გზა, შეკეთებული 335 კმ. არსებული გზა, ასევე მონიშნულია მოცულობით 75 700 კბმ ხე-ტყე რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ხე-ტყით, აგრეთვე გათვალწინებულია საჭიროების შემთხვევაში, როგორც ახალი გზის გაყვანა, ასევე ტყეკაფის გამოყოფა.

პატივისცემით,

ჯუმბერ აბულაძე

სააგენტოს უფროსი
ხელმძღვანელობა

https://edocument.ge/AdjaraGov/public1845-09-2-202309251106

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE